ევროკავშირი
საქართველოსთვის

„მწვანე გურია“

მწვანე გურია – ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მდგრადი მწვანე ზრდისთვის

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საგრანტო სახელმძღვანელო

2024 წელი

შინაარსი

1. პროგრამის შესახებ 3
2. საინფორმაციო კამპანია 4
3. კონკურსში მონაწილეობა 4
4. საგრანტო დაფინანსების შესაძლებლობა და ოდენობა; თანამონაწილეობის მოცულობა 5
5. საგრანტო კონკურსის ეტაპები, ვადები და განაცხადების შერჩევა/შეფასება. 8
6. განაცხადების ფინანსურ-ადმინისტრაციული შემოწმება, შერჩევა და შეფასება. 10
6.1. ფინანსურ-ადმინისტრაციული შემოწმება და შერჩევა. 10
6.2. განაცხადების შეფასების პროცესი. 10
6.3. საგრანტო განაცხადის დამტკიცება/კონტრაქტის გაფორმება. 11
7. განცხადებები და საჩივრები. 12
8. ინტერესთა კონფლიქტი, ხელშეკრულება და შესყიდვები 12
9. მონიტორინგი, განხილვა და შეფასება 13

1. პროგრამის შესახებ

პროექტის „მწვანე გურია – ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მდგრადი მწვანე ზრდისთვის“ მიზანია გურიის რეგიონში ადგილობრივი ეკონომიკური საქმიანობების დივერსიფიკაცია, ინვესტიციების მოზიდვა და კონკურენტული სასოფლო-სამეურნეო და გარემოსდაცვითი პრაქტიკის ხელშეწყობა სოფლის განვითარების თანამონაწილეობრივი და სტრატეგიული დაგეგმვის გზით. პროექტის ამოცანას წარმოადგენს ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების განვითარების პოტენციალის გაძლიერება და ადგილობრივი შესაძლებლობებისა და რესურსების ოპტიმალური გამოყენება.

პროექტს ახორციელებს CENN – კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი, „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან“ (YPU), ქედის ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფთან (Keda LAG) და დემოკრატიის ინსტიტუტთან (IoD) თანამშრომლობით.

პროექტის „მწვანე გურია – ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მდგრადი მწვანე ზრდისთვის“ ფარგლებში, CENN – კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი, „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან“ (YPU), ქედის ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფთან (Keda LAG) და დემოკრატიის ინსტიტუტთან (IoD) ერთად აცხადებს **2024 წლის საგრანტო კონკურსს.**

საგრანტო კონკურსის მიზანი

საგრანტო კონკურსის მიზანია ლანჩხუთის ადგილობრივი თემების კეთილდღეობისა და ყოფითი პირობების გაუმჯობესება, სოფლად ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება და ინოვაციური პროექტების განხორციელება პროგრამის ძირითადი მიზნებისა და ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტების შესაბამისად.

საგრანტო კონკურსის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- ✓ **სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვის განვითარება.**
- ✓ **ტურიზმის განვითარება.**
- ✓ **ეკონომიკური საქმიანობის დივერსიფიკაცია.**
- ✓ **გარემოს დაცვა (ბუნებრივი საფრთხეების შემცირება) და ბუნებრივი რესურსების მართვა.**
- ✓ **ქალებისა და ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერება.**
- ✓ **კულტურა, განათლება და სპორტი.**
- ✓ **სხვადასხვა საქმიანობის მხარდაჭერა, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ცხოვრების ხარისხის ამაღლებას.**

შენიშვნა:
საოჯახო ტიპის სასტუმროების, ასევე კოტეჯებისა და მსგავსი შენობა-ნაგებობების მოწყობა განიხილება მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, სადაც მკაფიოდ იკვეთება სასტუმრო მომსახურების

ცალკე მიმართულება და სერვისი. კერძოდ, წარმოდგენილი იდეით დაგეგმილი სასტუმროს მოწყობა უნდა ითვალისწინებდეს, სულ მცირე, 4 (ოთხ) ნომერს და ნომრების შესაბამისი ინდივიდუალური სველი წერტილების მოწყობას; ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცალკე გამოყოფილი სამზარეულო და სასადილო სივრცე, რომლებიც აკმაყოფილებს სურსათის უვნებლობის საკანონმდებლო მოთხოვნებს (HACCP).

განმცხადებელმა, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით“ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, უნდა გაითვალისწინოს სამიზნე უწყებიდან ნებართვის მოპოვების ან შეთანხმების დადების აუცილებლობა.

2. საინფორმაციო კამპანია

საგრანტო კონკურსის გამოცხადებისთანავე CENN – კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი, „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან“ (YPU), ქედის ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფთან (Keda LAG) და დემოკრატიის ინსტიტუტთან (IoD) ერთად საგრანტო კონკურსის შესახებ ინფორმაციის მაქსიმალურად გავრცელების მიზნით იწყებს საინფორმაციო კამპანიას. კამპანია წარიმართება ლანჩხუთის ყველა (13) ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობასთან უშუალო შეხვედრებით, წინასწარ შემუშავებული განრიგის შესაბამისად. შეხვედრების მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტების კიდევ ერთხელ მიმოხილვა და საგრანტო კონკურსის პირობების გაცნობა.
ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად და მისი ეფექტური გავრცელებისათვის დამატებით გამოყენებული იქნება შემდეგი საშუალებები:

1. პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციების (CENN – კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი, „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ (YPU), ქედის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი (Keda LAG) და დემოკრატიის ინსტიტუტი (IoD)) და ლანჩხუთის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის (Lanchkhuti LAG) ოფიციალური ვებგვერდები და ფეისბუქის გვერდები, სადაც ინფორმაციასთან ერთად განთავსდება საგრანტო სახელმძღვანელო, სააპლიკაციო ფორმები და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია.
2. საზოგადოებრივი შეკრების ადგილებსა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში გავრცელდება საინფორმაციო ლიფლეტები.

საგრანტო კონკურსთან დაკავშირებულ საკითხებზე დეტალური ინფორმაციის გაცემის მიზნით (მაგალითად, საგრანტო განაცხადის ფორმების შევსებისა და წარდგენის პროცედურების შესახებ) ჩატარდება ღია კარის დღეები/კონსულტაციები. ღია კარის დღეების განრიგი გამოქვეყნდება განაცხადების მიღების დასრულებამდე ორი კვირით ადრე პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციებისა და ლანჩხუთის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის ოფიციალურ ვებგვერდებსა და ფეისბუქის გვერდებზე.

3. კონკურსში მონაწილეობა

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს შემდეგ სუბიექტებს:

1. საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის სრულწლოვან მოქალაქეებს;
2. საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს (შპს, სპს, სს და ა.შ.);

3. რეგისტრირებული სტატუსის მქონე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს;
4. არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს (არასამთავრობო ორგანიზაცია, ასოციაცია, ფონდი და ა.შ.);
5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს;
6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებს;
7. საინიციატივო ჯგუფებს.

100,000 ლარს ზემოთ საგრანტო რესურსების მოთხოვნის შემთხვევაში, რეგისტრირებულმა იურიდიულმა და მეწარმე ფიზიკურმა პირებმა უნდა წარმოადგინონ ბოლო სამი წლის თანხის ბრუნვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

კონკურსში მონაწილეობის უფლება არ აქვთ:

1. პოლიტიკურ პარტიებსა და პოლიტიკური თანამდებობის პირებს, საჯარო მოხელეებს;
2. რელიგიურ ორგანიზაციებს;
3. ფინანსურ ინსტიტუტებს (ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ლომბარდი და ა.შ.).
4. ორგანიზაციებს, კავშირებს, გაერთიანებებს, საინიციატივო ჯგუფებს და ა.შ., რომლებიც სქესის, რელიგიური შეხედულებების, ეთნიკური წარმომავლობის და/ან სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე ახდენენ ფიზიკური პირების ან/და კონკრეტული ჯგუფების დისკრიმინაციას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კონკურსში მონაწილეობა არ განიხილება, როცა:

- შემოთავაზებული ობიექტი (მიწა, შენობა-ნაგებობა და სხვ.), სადაც დაგეგმილია პროექტის განხორციელება, დატვირთულია გირავნობით ან/და დაყადაღებულია;
- შემოთავაზებული ობიექტი (მიწა, შენობა-ნაგებობა და სხვ.) არ არის აპლიკანტის საკუთრება, ან არ არის მის კანონიერ მფლობელობაში.

- იმ შემთხვევაში, თუ შემოთავაზებული ობიექტი (მიწა, შენობა-ნაგებობა და სხვ.), სადაც დაგეგმილია პროექტის განხორციელება, დატვირთულია იპოთეკით, საგრანტო კომისია ამ (იპოთეკის) შემთხვევას ცალკე განიხილავს.
- იმ შემთხვევაში, თუ შემოთავაზებული ობიექტი (მიწა, შენობა-ნაგებობა და სხვ.) განმცხადებლის კანონიერ მფლობელობაშია (იჯარა, უზუფრუქტი, ქირავნობა და ა.შ.), განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს კანონიერი ფლობისა და სარგებლობის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტაცია (რეგისტრირებული იჯარა, უზუფრუქტი, ნოტარიულად დამოწმებული ქირავნობა და ა.შ.), რომელშიც აღნიშნული იქნება, რომ განაცხადის წარდგენის მომენტისათვის განმცხადებლის მიერ მითითებული ობიექტით სარგებლობის ვადა მინიმუმ 7 (შვიდი) წელია.

4. საგრანტო დაფინანსების შესაძლებლობა და ოდენობა; თანამონაწილეობის მოცულობა

კონკურსის შედეგად, საგრანტო განაცხადების თანხობრივი მხარდაჭერა გამოყენებული იქნება ორი მიმართულებით: კომერციული და სოციალური პროექტების მხარდასაჭერად.

დაფინანსების მინიმალური ოდენობა შეადგენს 2,800 ლარს, მაქსიმალური – 160,000 ლარს. განმცხადებელს მოეთხოვება მხოლოდ ფულადი თანამონაწილეობა. თანამონაწილეობის მოცულობა დამოკიდებული იქნება განმცხადებლის პროექტის სპეციფიკასა და გრანტის მოცულობაზე. ამ მხრივ, პირობები იქნება შემდეგნაირი:

საგრანტო დაფინანსების ოდენობა და თანამონაწილეობის მოცულობა **კომერციული პროექტებისათვის:**

- **2,800-დან 10,000** ლარამდე – პროექტის საერთო ბიუჯეტის მინიმუმ **15%** თანადაფინანსებით
- **10,000-დან 20,000** ლარამდე – პროექტის საერთო ბიუჯეტის მინიმუმ **20%** თანადაფინანსებით
- **20,000-დან 60,000** ლარამდე – პროექტის საერთო ბიუჯეტის მინიმუმ **25%** თანადაფინანსებით
- **60,000-დან 100,000** ლარამდე – პროექტის საერთო ბიუჯეტის მინიმუმ **30%** თანადაფინანსებით
- **100,000-დან 160,000** ლარამდე – პროექტის საერთო ბიუჯეტის მინიმუმ **35%** თანადაფინანსებით

საგრანტო კონკურსში სოციალური დახმარების მიმღები ოჯახის მონაწილეობის შემთხვევაში, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საგრანტო რესურსი შესაძლებელია, გაიცეს თანამონაწილეობის გარეშე ან 5% თანამონაწილეობით. ამ შემთხვევაში საგრანტო დაფინანსების თანხა არ უნდა აღემატებოდეს 15,000 ლარს და თანამონაწილეობის საკითხს წყვეტს საგრანტო კომისია სოციალურ სარეიტინგო ქულებზე დაყრდნობით.

საგრანტო დაფინანსების ოდენობა და თანამონაწილეობის მოცულობა **სოციალური პროექტებისათვის:**

- აქ იგულისხმება კულტურული, საგანმანათლებლო, სოციალური პროექტები, რომლებიც განხორციელდება არაკომერციული (არასამეწამეო) იურიდიული პირის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების და/ან საინიციატივო ჯგუფების (კონკურსში გამარჯვების შემდგომ მათ მოეთხოვებათ იურიდულ პირად დაფუძნება) მიერ.
  - **2,800-დან 30,000** ლარამდე – პროექტის საერთო ბიუჯეტის მინიმუმ **10%** თანადაფინანსებით
  - **30,000-დან 60,000** ლარამდე – პროექტის საერთო ბიუჯეტის მინიმუმ **20%** თანადაფინანსებით
  - **60,000-დან 100,000 ლარამდე** – პროექტის საერთო ბიუჯეტის მინიმუმ **30%** თანადაფინანსებით
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, სახელმწიფო სსიპ-ები, სახელმწიფო შპს-ები – პროექტის საერთო ბიუჯეტის მინიმუმ **60%** თანადაფინანსებით
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლები და ბაგა-ბაღები – პროექტის საერთო ბიუჯეტის მინიმუმ **10%** თანადაფინანსებით

პროექტის ბიუჯეტის თანამონაწილეობის პროცენტის გამოთვლის ფორმულის მაგალითი:

A. პროექტის საერთო ღირებულება – **35,000** ლარი

B. კომერციული პროექტისთვის დადგენილი მინიმალური თანამონაწილეობა – **25%**

C. განმცხადებლის კონტრიბუცია – **8,750** ლარი (**A*B = 8,750**)
D. საგრანტო ფონდიდან მოთხოვნილი თანხა – **26,250** ლარი (**A-C=26,250**)

განმცხადებლის თანამონაწილეობად ჩაითვლება მხოლოდ თანხობრივი მონაწილეობა. ბენეფიციარმა თავისი თანამონაწილეობა საგრანტო კონტრაქტის გაფორმებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში უნდა განათავსოს საბანკო ანგარიშზე.

საგრანტო პროექტის განხორციელების პროცესში ნებისმიერი თანხა აუცილებლად უნდა იქნეს გადახდილი საბანკო გადარიცხვის საშუალებით.

საგრანტო რესურსის ანაზღაურება განხორციელდება ტრანშებად, კონტრაქტით გაწერილი გეგმის შესაბამისად, ეტაპობრივად, შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ. ყველა ეტაპის ტრანზაქციის მერე დონორი ამოწმებს დოკუმენტებს, ასევე ადგილზე ატარებს მონიტორინგს.

გამარჯვებული საგრანტო პროექტების განხორციელების ეტაპზე გრანტის მიმღებმა შესყიდვები უნდა განახორციელოს ევროკავშირისა და CENN-ის შესყიდვების რეგულაციების დაცვით. შესყიდვების რეგულაციების შესახებ გრანტის მიმღები კონტრაქტის გაფორმებისას გაივლის შესაბამის ინსტრუქტაჟს.

დონორი ორგანიზაცია იტოვებს უფლებას, საგრანტო კონტრაქტის გაფორმების დროს, პროექტის სპეციფიკის მიხედვით, ხელშეკრულებაში ასახოს შესაბამისი პირობები.

საგრანტო რესურსი არ გამოიყენება შემდეგი ხარჯების დასაფარავად:

1. კაპიტალური სამშენებლო სამუშაოები (აღნიშნულ სამუშაოებზე ხარჯების გაწევა დასაშვებია მხოლოდ განმცხადებლის კონტრიბუციით);
2. ხელფასები (გამონაკლის შემთხვევაში, შესაძლოა, დაფინანსდეს ექსპერტის/სპეციალისტის ჰონორარი);
3. მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის, შინაური ფრინველების, ფუტკრის ოჯახების, თევზის/ლიფსიტების შეძენა (დასაშვებია მხოლოდ განმცხადებლის კონტრიბუციით);
4. საბრუნავი საშუალებები (დასაშვებია მხოლოდ განმცხადებლის კონტრიბუციით);
5. უძრავი ქონების შეძენა (დასაშვებია მხოლოდ განმცხადებლის კონტრიბუციით);
6. ავტოსატრანსპორტო საშუალებები, გარდა სპეც. ტექნიკისა და სპეციალიზებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა (პროექტის განხორციელების აუცილებლობიდან გამომდინარე, ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენა დასაშვებია მხოლოდ განმცხადებლის კონტრიბუციით);
7. სემინარებში, სამუშაო შეხვედრებსა და კონფერენციებში ინდივიდუალური მონაწილეობა;
8. კვლევების ან ტრენინგების ინდივიდუალური დაფინანსება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს წარმოადგენს ძირითადი საქმიანობის შემადგენელ კომპონენტს;
9. აკადემიური და სამეცნიერო კვლევები;
10. სასწავლო/სამეცნიერო გრანტები;
11. ჰუმანიტარული აქციები და საქმიანობა;
12. ვალები და მომავალი შესაძლო ზარალისათვის გათვალისწინებული ხარჯები;
13. გადასახდელი პროცენტები, საურავები, ჯარიმები;
14. ზარალი, გამოწვეული სავალუტო კონვერტაციის შედეგად;

15. მესამე მხარისათვის გაცემული სესხები;
16. სადაზღვევო ხარჯები;
17. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობები.

5. საგრანტო კონკურსის ეტაპები, ვადები და განაცხადების შერჩევა/შეფასება

საგრანტო კონკურსი შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

I ეტაპი – საგრანტო განაცხადის წარდგენა
II ეტაპი – პროექტის პრეზენტაცია და გასაუბრება
III ეტაპი – პროექტის ადგილზე გაცნობა (მონიტორინგი)
IV ეტაპი – საგრანტო განაცხადის დამტკიცება/კონტრაქტის გაფორმება
I ეტაპი – საგრანტო განაცხადის წარდგენა

საგრანტო განაცხადის ფორმები განთავსდება პროექტის „მწვანე გურია – ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მდგრადი მწვანე ზრდისთვის“ განმახორციელებელი ორგანიზაციების (CENN – კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი, „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ (YPU), ქედის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი (Keda LAG) და დემოკრატიის ინსტიტუტი (IoD)) და ლანჩხუთის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის (Lanchkhuti LAG) ოფიციალურ ვებგვერდებსა და ფეისბუქის გვერდებზე.

განაცხადების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ ქართულ ენაზე. განაცხადზე თანდართულ უცხოენოვან დოკუმენტაციას უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

განაცხადის წარდგენა შესაძლებელია ორი ფორმით: ელექტრონული და მატერიალური (ნაბეჭდი) ფორმით.

ელექტრონული ფორმით განაცხადები მიიღება ხელმოწერილი ან/და, არსებობის შემთხვევაში, ბეჭდით დამოწმებული, ასევე ელ. ხელმოწერით ან/და ელ. შტამპით. ელექტრონულად განაცხადის წარდგენა შესაძლებელია ელ. ფოსტის შემდეგ მისამართზე: lanchkhutigrants@cenn.org. ელ. ფოსტის მეშვეობით განაცხადის წარდგენისას აუცილებელია, განმცხადებელმა თემის ველში მიუთითოს **„საგრანტო კონკურსი 2024“**. განაცხადის ამ ფორმით წარდგენის შემთხვევაში, განმცხადებელი მიიღებს განაცხადის ჩაბარების დამადასტურებელ შეტყობინებას ელ. ფოსტის მეშვეობით. განაცხადის წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ ერთი საფოსტო გზავნილით.

მატერიალური ფორმით ნაბეჭდი, CD-ის ან მეხსიერების ბარათის მეშვეობით განაცხადების წარდგენა შესაძლებელია პროექტის „მწვანე გურია – ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მდგრადი მწვანე ზრდისთვის“ ოფისში შემდეგ მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, ნოე ჟორდანიას ქუჩა N110. მატერიალურად წარდგენილი განაცხადი მოთავსებული უნდა იყოს დალუქულ კონვერტში. კონვერტზე აუცილებლად უნდა მიეთითოს განმცხადებლის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია. განაცხადის მატერიალური ფორმით წარდგენის შემთხვევაში, განმცხადებელს გადაეცემა განაცხადის რეგისტრაციის ნომერი.

განაცხადის ფორმების შევსებასა და წარდგენასთან დაკავშირებით, ასევე, სხვა ტექნიკურ საკითხებზე დაინტერესებულ პირებს კონსულტაციები გაეწევათ განაცხადის წარდგენის ვადის

ამოწურვამდე პროექტის „მწვანე გურია – ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მდგრადი მწვანე ზრდისთვის“ ოფისში შემდეგ მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, ნოე ჟორდანიას ქუჩა N110.

განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა 2024 წლის 31 მაისი, 17:00 საათი.

საგრანტო პროექტების განხორციელების დაწყების სავარაუდო თარიღია 2024 წლის სექტემბერი.

საგრანტო კონკურსში წარმოსადგენი დოკუმენტაცია:
ა. შევსებული და ხელმოწერილი განაცხადის ფორმა (კომერციული ან სოციალური პროექტებისთვის);
ბ. შევსებული და ხელმოწერილი ბიუჯეტი (ბიუჯეტი, ფინანსური დაგეგმარება);
გ. საკუთრების ან/და კანონიერი ფლობა-სარგებლობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაციის ასლები;
დ. იურიდიული პირის შემთხვევაში – მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განახლებული ამონაწერი, რომელიც შეესაბამება 04.08.2021-ში მიღებულ კანონს „მეწარმეთა შესახებ“ ;
ე. ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში – მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განახლებული ამონაწერი;
ვ. მიკრო- და მცირე მეწარმის შემთხვევაში – შესაბამისი დოკუმენტაციის ასლი;
ზ. იმ შემთხვევაში, თუ განაცხადის ბიუჯეტი აღემატება 100,000 ლარს, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს ბოლო სამი წლის თანხის ბრუნვის შესახებ შესაბამისი დოკუმენტაცია ან ასლები. სტარტაპის შემთხვევაში, კომისია განაცხადს ცალკე განიხილავს;
თ. საჭიროებისამებრ, სხვა ტიპის დანართები (მაგ., დამტკიცებული სამშენებლო პროექტი, შესაბამისი უწყების მიერ გაცემული ნებართვა, ლიცენზია, სერტიფიკატი, შესასყიდი საქონლის ინვოისები და ა.შ.).

ვადაგადაცილებით წარმოდგენილი, არასრულად ან/და ხელით შევსებული განაცხადები არ განიხილება.

საგრანტო კონკურსში განმცხადებელს შეუძლია მხოლოდ ერთი განაცხადის წარდგენა, ასევე ის არ უნდა ფიქსირდებოდეს სხვა პირების მიერ წარმოდგენილ საპროექტო განაცხადებში მოსარგებლედ.
ერთ მისამართზე რეგისტრირებული ერთი ოჯახიდან მიიღება მხოლოდ ერთი განაცხადი.

II ეტაპი – პროექტის პრეზენტაცია და გასაუბრება
საგრანტო კომისიის მიერ შერჩეული პროექტების (ფინანსურ-ადმინისტრაციული შემოწმება/შერჩევა) პრეზენტაციის მიზნით კომისია მოიწვევს საპროექტო განაცხადის ავტორს და გამართავს გასაუბრებას მასთან.

III ეტაპი – პროექტის ადგილზე გაცნობა (მონიტორინგი)
განმცხადებლის მიერ საგრანტო პროექტის პრეზენტაციისა და გასაუბრების ეტაპის დასრულების შემდეგ ლანჩხუთის საგრანტო კომისია, საჭიროების შემთხვევაში, ადგილზე გაეცნობა და შეისწავლის საგრანტო განაცხადში წარმოდგენილ ფაქტებსა და გარემოებებს.

IV ეტაპი – საგრანტო განაცხადის დამტკიცება/კონტრაქტის გაფორმება

განაცხადი, რომელიც დადებით შეფასებას მიიღებს და წარმატებით გაივლის გასაუბრებისა და მონიტორინგის ეტაპს, დამტკიცებულად ჩაითვლება და განმცხადებელთან გაფორმდება საგრანტო კონტრაქტი.

6. განაცხადების ფინანსურ-ადმინისტრაციული შემოწმება, შერჩევა და შეფასება

განაცხადების ფინანსურ-ადმინისტრაციული შემოწმება, შერჩევა და შეფასება არის პროგრამა საგრანტო კომისიისა, რომელიც იქმნება CENN-ის – კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის, „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ (YPU), ქედის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის (Keda LAG) და დემოკრატიის ინსტიტუტის (IoD) მიერ ერთობლივად.

ლანჩხუთის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის (Lanchkhuti LAG) მმართველი საბჭოს წევრები ჩართულნი იქნებიან პროცესში საგრანტო კონკურსის ყველა სამუშაო ეტაპზე და მონაწილეობას მიიღებენ დამკვირვებლის სტატუსით.

6.1. ფინანსურ-ადმინისტრაციული შემოწმება და შერჩევა

საგრანტო განაცხადის შერჩევის და შეფასების პროცესის დაწყებამდე, საპროექტო განაცხადი გაივლის ტექნიკურ (წარმოდგენის ვადა, განაცხადის ფორმა, განმცხადებლის რეკვიზიტები, დანართების სიზუსტე, ბიუჯეტის რელევანტურობა და ა.შ.) და ფინანსურ შემოწმებას.

შემოწმების ეტაპზე აღმოჩენილი ხარვეზის(ების) არსებობის შემთხვევაში, განმცხადებელს ხარვეზების აღმოსაფხვრელად განესაზღვრება გონივრული ვადა. გონივრული ვადის გასვლის შემდგომ, თუ ხარვეზი არ აღმოიფხვრა საგრანტო განაცხადი მოიხსნება კონკურსიდან.

6.2. განაცხადების შეფასების პროცესი

საგრანტო განაცხადის ფინანსურ-ადმინისტრაციული შემოწმების დასრულებისთანავე საგრანტო კომისია იწყებს საგრანტო განაცხადების შეფასების პროცესს.
საგრანტო განაცხადების შეფასება ხორციელდება საგრანტო კომისიის წევრების მიერ ინდივიდუალურად.
განაცხადი შეფასდება შემდეგი ძირითადი კრიტერიუმებით:

1. საგრანტო განაცხადით წარმოდგენილი იდეის კავშირი ლანჩხუთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტებთან;
2. იდეის, პრობლემის აღწერა – რამდენად აქტუალურია წარმოდგენილი იდეა/პრობლემა მიზნობრივი ადგილმდებარეობისთვის. პროექტი უნდა განხორციელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში;
3. განმცხადებლის სტატუსი – განმცხადებლის სტატუსი უნდა შეესაბამებოდეს კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე სუბიექტების სტატუსებიდან რომელიმეს (იხ. ზემოთ მითითებული ჩამონათვალი ,,*საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს შემდეგ სუბიექტებს“)*
4. განმცხადებლის ცოდნა ან/და გამოცდილება წარმოდგენილი პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით;
5. ხელშემწყობი წინაპირობები, პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული გარემო ფაქტორები და რესურსები (ადამიანური, ტექნიკური და ა.შ.);

6. პროექტის განხორციელების მიდგომები. პროექტის განხორციელებისათვის დაგეგმილი საქმიანობის სახეები;
7. პროექტში გამოყენებული გარემოსთან მეგობრული თანამედროვე ტექნოლოგიები და ინოვაციები;
8. გარემოსდაცვითი პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობა;
9. პროექტის ფინანსური დაგეგმარება (ლოგიკური ბიუჯეტი – ხარჯების რეალისტური გათვლა);
10. პროექტის განხორციელების რისკები და მათი შემცირების გზები;
11. მარკეტინგი (კონკურენცია, პროდუქციის/მომსახურების სარეალიზაციო გარემო, მომხმარებლები, სტრატეგია);
12. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი. პროექტის განხორციელების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს;
13. პროექტის განხორციელებით მიღებული პროდუქტი/სერვისი/შედეგი;
14. პროექტის სიცოცხლისუნარიანობა;
15. დასაქმება.

შენიშვნა: წარმოდგენილი განაცხადი უნდა აკმაყოფილებდეს ლანჩხუთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის ერთ ან რამდენიმე პრიორიტეტულ მიმართულებას. შესაძლებელია, პროექტის განმცხადებელი იყოს ფიზიკური პირი ან პირთა ჯგუფი (საინიციატივო ჯგუფი).

ამ შემთხვევაში, წარმოდგენილი განაცხადი განიხილება და კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში განმცხადებელს მოეთხოვება მეწარმე სუბიექტად ან იურიდიულ პირად რეგისტრირება.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმის გათვალისწინებით, შერჩევის შედეგები ეცნობება განმცხადებლებს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგის შემთხვევაში. წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე განმცხადებელს მიეცემა წერილობითი პასუხი უარყოფითი შედეგის შესახებ.

განაცხადის შეფასების პროცესში საგრანტო კომისია უფლებამოსილია, განაცხადში მოყვანილი გარემოებების გადამოწმების მიზნით განმცხადებელს კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარდგენა ან/და განმარტებები კონკრეტულ საკითხზე, ასევე ადგილზე გადაამოწმოს ფაქტები და გარემოებები.

6.3. საგრანტო განაცხადის დამტკიცება/კონტრაქტის გაფორმება

კონკრეტულ განაცხადზე კომისიის წევრების მიერ გაკეთებული ინდივიდუალური შეფასების ქულები ჯამდება და გამოითვლება საშუალო არითმეტიკული ციფრი, რომელიც წარმოადგენს კონკრეტული საგრანტო განაცხადის შეფასების საბოლოო ქულას. საბოლოო ქულების დაფიქსირების შესაბამისად, კეთდება საგრანტო განაცხადების რეიტინგი და საგრანტო კომისია ხმათა უმრავლესობით ამტკიცებს კონკრეტულ განაცხადს.

7. განცხადებები და საჩივრები

საგრანტო კონკურსის ფარგლებში, საგრანტო პროცესთან დაკავშირებული განცხადების ან/და საჩივრის წარდგენა შესაძლებელია განმცხადებლისათვის კონკურსის შედეგების გაცნობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. ასეთ შემთხვევაში, განმცხადებელი საგრანტო კომისიას მიმართავს წერილობით, წინასწარ დამტკიცებული ფორმის მეშვეობით.

საგრანტო კომისია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განცხადების ან საჩივრის დარეგისტრირებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში შეისწავლის საჩივარში მითითებულ გარემოებებს და თავისი გადაწყვეტილების შესახებ აცნობებს განმცხადებელს საჩივრის ან/და განცხადების ფორმაში მითითებულ ელ. ფოსტის მისამართზე. იმ შემთხვევაში, თუ კომისიას 5 სამუშაო დღეზე მეტი დრო დასჭირდება განცხადების ან საჩივრის განხილვისთვის, იღებს ვადის გაგრძელების გადაწყვეტილებას და ამის შესახებ აცნობებს განმცხადებელს ელ. ფოსტის მეშვეობით. საგრანტო კომისიის მიერ ვადის გაგრძელება შესაძლებელია გონივრულობის ფარგლებში.

საგრანტო კომისია განცხადების ან საჩივრის განხილვის ვადის ამოწურვის შემდეგ გადაწყვეტილებას წერილობით აცნობებს განმცხადებელს ელ. ფოსტის მეშვეობით.

საგრანტო კომისიის მისამართი: ქ. ლანჩხუთი, ნოე ჟორდანიას ქუჩა N110.

8. ინტერესთა კონფლიქტი, ხელშეკრულება და შესყიდვები

საგრანტო კომისიის მიერ დამტკიცებელი საპროექტო განაცხადები საბოლოო განხილვისთვის წარედგინება პროექტის „მწვანე გურია“ ფინანსურ მართვაზე პასუხისმგებელ პირს. იმ შემთხვევაში, თუ ამ ეტაპზე აღმოჩნდება შეთანხმებული პროცედურებიდან რაიმე გადაცდომა ან/და ინტერესთა კონფლიქტი, ფინანსურ მართვაზე პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია, შეაჩეროს გრანტის ხელშეკრულების ხელმოწერა და დაუბრუნოს კომისიას განაცხადი კიდევ ერთხელ გადასინჯვის მიზნით. თუკი განაცხადი და მასთან ერთად წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი სრულ წესრიგშია, ფორმდება საგრანტო კონტრაქტი. საგრანტო კონტრაქტში დეტალურად არის გაწერილი ორივე მხარის ფუნქციები და პასუხისმგებლობები პროექტის განხორციელებასა და დაფინანსებაზე. გრანტის ხელშეკრულებით განისაზღვრება მხარეებს შორის არსებული ყველა შეთანხმება და პირობა.

თანადაფინანსების სახსრები საგრანტო ფონდთან ერთად გამოყენებული უნდა იყოს საგრანტო კონტრაქტზე თანდართულ ბიუჯეტში ჩამოთვლილი ხარჯების დასაფინანსებლად.

საგრანტო კონტრაქტის ფარგლებში ყველა შესყიდვა ხორციელდება განმცხადებლის მიერ შესაბამისი შესყიდვის პროცედურების წესების დაცვით, რაზედაც ის წინასწარ იქნება ინფორმირებული.

საგრანტო კონტრაქტის ფარგლებში წარმოშობილი ყველა აქტივი განმცხადებლის მფლობელობაში/სარგებლობაშია. პროექტის განხორციელების დროს ან/და კონტრაქტით

გათვალისწინებულ ვადაში განმცხადებელი პასუხისმგებელია მის სწორ გამოყენებასა და მოვლა-პატრონობაზე.

9. მონიტორინგი, განხილვა და შეფასება

საგრანტო პროექტის მიმდინარეობისას ყველა სამართლებრივი და ფინანსური დოკუმენტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს შემმოწმებლისთვის პროექტის განხორციელებისა და მონიტორინგის დროს. ზემოხსენებული დოკუმენტაცია არ გასაჯაროვდება, თუ მასში არ იქნება კანონითა და საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარღვევები. გრანტის მიმღები რეგულარულად აწარმოებს და წარმოადგენს საბუღალტრო ანგარიშგებას, იცავს ყველა საგადასახადო მოთხოვნას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საგრანტო პროექტის შესახებ დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი იქნება მონიტორინგის გუნდისათვის 3 წლის განმავლობაში. პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერილი პროექტები უნდა გაგრძელდეს და ემსახურებოდეს დასახულ მიზნებს.

გრანტის მიმღებთა პროექტები უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის ENPARD-ის მიზნებსა და პრიორიტეტებს და მათმა განმახორციელებლებმა უნდა უზრუნველყონ ევროკავშირის დაფინანსების ხილვადობა გამოცდილების გაზიარების მიზნით.

საგრანტო კონტრაქტზე ხელმოწერის დღიდან მომდევნო მინიმუმ სამი წლის განმავლობაში CENN – კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის, „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ (YPU), ქედის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის (Keda LAG), დემოკრატიის ინსტიტუტის (IoD), ან/და ლანჩხუთის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის მიმართვის საფუძველზე გრანტის მიმღებმა უნდა უზრუნველყოს საგრანტო პროექტის შესახებ ინფორმაციის და გამოცდილების გაზიარება ყველა დაინტერესებული მხარისთვის.